ბექა (ბესარიონ) ჩხიროძე
ისტორიის მაგისტრი, თსუ
Besarion.chkhirodze105@hum.tsu.edu.ge

„ბოროტების იმპერიის“ დასასრული: რონალდ რეიგანის სტრატეგიული როლი საბჭოთა კავშირის დაშლაში

საკვანძო სიტყვები: ცივი ომი, პერესტროიკა, რეიგანის დოქტრინა, ბოროტების იმპერია
Keywords: Cold War, Perestroika, Reagan Doctrine, Evil Empire

XXI საუკუნის გლობალური უსაფრთხოების გამოწვევებისა და აშშ-რუსეთის ურთიერთობების ფონზე გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს იმ ისტორიული მოვლენებისა და გადაწყვეტილებების გააზრებას, რომლებმაც თანამედროვე მსოფლიო წესრიგი შექმნეს. მათ შორის, განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს რონალდ რეიგანის მიერ განხორციელებულ ღონისძიებებსა და გადაწყვეტილებებს, რომლებმაც მნიშვნელოვანი როლი ითამაშეს საბჭოთა კავშირის დაშლაში. ამასთან ერთად, რეიგანის პოლიტიკის შეფასება დღემდე პოლარიზებულია. საზოგადოების ნაწილი ორად არის გაყოფილი და ერთმანეთისაგან დიამეტრულად განსხვავებულ მოსაზრებებს ავითარებენ. ერთი ნაწილი ფიქრობს, რომ რეიგანი იყო საბჭოთა სისტემის ჩამოშლის მთავარი მამოძრავებელი ძალა, მეორე ნაწილი კი მიიჩნევს, რომ იმპერიის კრახი გამოწვეული იყო შიდა სისტემური კრიზისით. საბოლოოდ, აღნიშნული საკითხის განხილვა იძლევა შესაძლებლობას გაანალიზდეს, რამდენად შეიძლება ერთმა ლიდერმა ან სახელმწიფომ მოახდინოს გავლენა გლობალურ ცვლილებებზე. რეიგანის პოლიტიკის შეფასებისას ასევე გავითვალისწინებთ ისტორიკოსთა და პოლიტოლოგთა განსხვავებულ მოსაზრებებს.

სტატიაში ჩვენ შევეცდებით, რომ გავცეთ პასუხი შეკითხვებს: როგორი იყო რეიგანის სტრატეგია საბჭოთა კავშირთან მიმართებით და რამდენად მნიშვნელოვანი იყო მისი ქმედებები იმპერიის რღვევის პროცესში. საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ რეიგანის სტრატეგია ითვალისწინებდა სამხედრო და ეკონომიკურ ზეწოლას, იდეოლოგიურ შეტევას, დიპლომატიას მიხაილ გორბაჩოვთან. უნდა აღინიშნოს რომ აშშ-მა ცივი ომის მიმდინარეობისას აქტიურად გამოიყენა სახალხო დიპლომატია, რომელიც 1980-იან წლებში ამერიკის საგარეო პოლიტიკის წარმატების მთავარი მამოძრავებელი ძალა გახდა. ჩვენი მიზანია განვიხილოთ როგორ იმოქმედა ზემოთ დასახელებულმა და განხორციელებულმა ღონისძიებებმა საბჭოთა კავ-

შირზე და როგორ დააჩქარა მისი რღვევის პროცესი. გარდა ამისა, კვლევის მიზანია გამოკვეთოს რონალდ რეიგანის როლი „ბოროტების იმპერიის“ დაშლის პროცესში.

ცივი ომი, როგორც ზესახელმწიფოთა – აშშ-სა და საბჭოთა კავშირის – გლობალური დაპირისპირება, დაიწყო მეორე მსოფლიო ომის დასრულებისთანავე. ის მოიცავდა არა უშუალო სამხედრო დაპირისპირებას, არამედ იდეოლოგიურ, პოლიტიკური გავლენისთვის ბრძოლას მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონში. 1947 წლიდან დაწყებული, როდესაც ამერიკის შეერთებულმა შტატებმა ოფიციალურად გამოაცხადა საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ კონტინმენტის[1] პოლიტიკა, დაძაბულობა მუდმივად მზარდი იყო. მიუხედავად ამისა, 1970-იან წლებში ამერიკის შეერთებულ შტატებსა და საბჭოთა კავშირს შორის შედარებით რბილი ფაზა დადგა, რომელიც ისტორიაში შევიდა როგორც დეტანტის პერიოდი. ამ ეტაპზე შედგა რამდენიმე მნიშვნელოვანი შეთანხმება შეიარაღების კონტროლის შესახებ, თუმცა დეტანტმა ვერ უზრუნველყო სტაბილური თანაცხოვრება.

1980 წელს ამერიკაში საზოგადოების ფართო ნაწილის უკმაყოფილებამ – ეკონომიკური სტაგნაციის, ირანული კრიზისისა და „კარტერის სისუსტის“ ფონზე – გზა მისცა რონალდ რეიგანის გაპრეზიდენტებას. მას ჰქონდა რწმენა, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებს შეეძლო მნიშვნელოვანი როლი ეთამაშა საბჭოთა კავშირის დაშლის პროცესში.

საბჭოთა კავშირთან მიმართებით რეიგანის სტრატეგიაში მნიშვნელოვანი ნაწილი იყო სამხედრო ზეწოლა. რეიგანმა მიზნად დაისახა სამხედრო ბიუჯეტის უპრეცენდენტო ზრდა. რეიგანის პრეზიდენტობის დროს სამხედრო ბიუჯეტი გაიზარდა და შეადგენდა 2,4 ტრილიონ დოლარს (კაჭარავა 2005: 174). 1983 წლის მარტში, პრეზიდენტმა რეიგანმა წარმოადგინა ახალი სამხედრო სტრატეგია, რომელიც ცნობილი გახდა როგორც სტრატეგიული თავდაცვითი ინიციატივა[2], რომლის მიზანი იყო ბალისტიკური ბირთვული რაკეტების განადგურება კოსმოსიდან, მათი გაფრენის ფაზაშივე. მიუხედავად იმისა, რომ სტრატეგიული თავდაცვითი ინიციატივა ტექნოლოგიური სირთულეების გამო სრულად არ განხორციელდა, მისი ფსიქოლოგიური და სტრატეგიული ეფექტი მნიშვნელოვანი იყო – განსაკუთრებით საბჭოთა ხელმძღვანელობისთვის. საბჭოთა ხელმძღვანელობა იმ დასკვნამდე მივიდა, რომ ეს შეტევითი სტრატეგიის ნაწილი იყო, რომელიც მიზნად ისახავდა ან კოსმოსური იარაღის შემუშავებას დედამიწაზე არსებული სამიზნეების წინააღმდეგ გამოსაყენებლად, ან ისეთი შეუღწევადი თავდაცვის შექმნას, რომელიც შეერთებულ შტატებს საშუალებას მისცემდა დაეწყო ბირთვული

[1] „კონტინმენტი“ – საგარეო პოლიტიკის სტრატეგია, რომელიც მიზნად ისახავს სხვა სახელმწიფოს (როგორც წესი, გაფართოებაზე ორიენტირებული ძალის) გავლენის გავრცელების შეჩერებას ან შეკავებას.

[2] პროექტს ხშირად უწოდებდნენ „ვარსკვლავურ ომებს“, რადგან ის მეტად ამბიციურად ჟღერდა.

ომი (Hudson and Davies 2008: 61). საბჭოთა კავშირში მტრულად იყვნენ განწყობილნი პროგრამის მიმართ. სტრატეგიულმა თავდაცვითმა ინიციატივამ მნიშვნელოვანი როლი ითამაშა რონალდ რეიგანის საგარეო პოლიტიკაში საბჭოთა კავშირთან მიმართებით. მან გამოიწვია შიში, რომ ამერიკის შეერთებული შტატები მოიპოვებდა ბირთვულ უპირატესობას. საბჭოთა კავშირი შეერთებულ შტატებს ჩამორჩებოდა ტექნოლოგიურად, გარდა ამისა, რეიგანის მიერ სამხედრო ბიუჯეტის ზრდამ აიძულა საბჭოთა კავშირი გაეზარდა საკუთარი თავდაცვის ბიუჯეტიც, რაც სუსტი ეკონომიკისთვის დამატებითი ტვირთი გახდა. საბჭოთა კავშირში სამხედრო ძალაზე აქცენტირება მოითხოვდა უზარმაზარი რესურსების სამხედრო-სამრეწველო სექტორში ჩადებას, რაც ზიანს აყენებდა სამოქალაქო ეკონომიკას, რომელიც, ნებისმიერ შემთხვევაში, არ იყო ისეთი პროდუქტიული, როგორც დასავლეთის თავისუფალი ბაზრის ეკონომიკა (Hudson and Davies 2008: 58). დამატებით, შეიძლება ითქვას, რომ რონალდ რეიგანმა მოიპოვა დიპლომატიური უპირატესობა საბჭოთა კავშირთან მიმართებით, რადგან მიხაილ გორბაჩოვმა არაერთხელ მოითხოვა სტრატეგიული თავდაცვითი ინიციატივის შეწყვეტა. რეიგანისთვის საკუთარი ინიციატივა იქცა არა მხოლოდ სამხედრო პროექტად, არამედ ფსიქოლოგიურ, დიპლომატიურ და ეკონომიკურ იარაღად.

რონალდ რეიგანის სტრატეგია საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ არ შემოიფარგლებოდა მხოლოდ სამხედრო ნაბიჯებით. ერთ-ერთი სტრატეგია იყო ეკონომიკური ზეწოლა, რომელიც მიზნად ისახავდა საბჭოთა კავშირის, როგორც სისტემის, შიდა რღვევას, მის იზოლაციას გლობალური ეკონომიკური პროცესებიდან და საბჭოთა მოქალაქეების ცნობიერებაში თავისუფლების იდეის ჩანერგვას. 1980-იანი წლების დასაწყისში საბჭოთა ეკონომიკა მნიშვნელოვნად იყო დამოკიდებული ნავთობისა და ბუნებრივი გაზის ექსპორტზე. რონალდ რეიგანი ცდილობდა არ დაეშვა საბჭოთა ეკონომიკის მოდერნიზება დასავლური ტექნოლოგიების მეშვეობით. 1981 წლის დეკემბერში რეიგანმა დაუწესა სანქციები ამერიკულ კომპანიებს, რომლებიც მონაწილეობდნენ სსრკ-თან გაზსადენის მშენებლობაში (Reagan 1982). ამერიკული კომპანიები უზრუნველყოფდნენ საბჭოთა კავშირისთვის გაზსადენის მშენებლობისათვის საჭირო ტექნოლოგიისა და აღჭურვილობის მიწოდებას. რეიგანმა კი სანქციების დახმარებით შეზღუდა მათი მიწოდება საბჭოთა კავშირისთვის. 1982 წელს სანქციები გაფართოვდა და მოიცვა ევროპული კომპანიები და შვილობილი სტრუქტურები (Reagan 1982). უნდა ვთქვათ, რომ საბჭოთა კავშირმა დიდი დარტყმა განიცადა რეიგანის სანქციების გამო. გაზსადენის მშენებლობის დასრულების შემდეგ საბჭოთა კავშირს შეეძლო დასავლეთ ევროპის ქვეყნებისთვის 8-დან 10 მილიარდ დოლარამდე ღირებულების გაზი მიეყიდა. გამომდინარე აქედან, საბჭოთა კავშირი არა მხოლოდ ხდებოდა ბუნებრივი აირის მთავარი წყარო დასავლეთ ევროპის ქვეყნებისთვის, არამედ მიიღებდა ტექნოლოგიებს და

მნიშვნელოვან დამატებით შემოსავალს მყარი ვალუტის სახით (Davis 1982). რეიგანის ადმინისტრაციამ იმუშავა მოკავშირეებთან, რათა ხელი მისცემოდა ნავთობის ფასების მკვეთრ ვარდნას. 1986 წელს ნავთობის ფასები თითქმის განახევრდა, რაც პირდაპირ აისახა საბჭოთა ბიუჯეტზე. შემცირდა კრემლის შესაძლებლობები, რათა დაეფინანსებინა როგორც შიდა სოციალური პროგრამები, ისე სამხედრო ხარჯები.

რონალდ რეიგანის პოლიტიკის ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული მახასიათებელი მისი იდეოლოგიური პირდაპირობა და მკაფიო რიტორიკა იყო, რომ კომუნიზმი მხოლოდ პოლიტიკური ან ეკონომიკური ალტერნატივა კი არ იყო, არამედ მორალურად მცდარი და კაცობრიობისათვის სახიფათო სისტემა. ამ იდეას განსაკუთრებული სიმკვეთრით გამოხატავდა მისი ცნობილი სიტყვა, წარმოთქმული ეროვნული ევანგელისტური ასოციაციის ყოველწლიურ კონვენციაზე 1983 წლის 8 მარტს. რეიგანმა საბჭოთა კავშირს „ბოროტების იმპერია“ (Evil Empire) უწოდა (Reagan 1983). ამ გზით, იგი ცდილობდა მოსახლეობის მობილიზებასა და ამერიკული საზოგადოებრივი აზრის კონსოლიდაციას, ამასთან ერთად, რეიგანი აგზავნიდა საერთაშორისო სიგნალს, რომ აშშ ითხოვდა კომუნიზმის დამარცხებას. გარდა ამისა, რეიგანი ხაზს უსვამდა მორალურ განსხვავებას აშშ-სა და სსრკ-ს შორის. ეს არ იყო მხოლოდ რიტორიკა. რეიგანის ადმინისტრაცია აქტიურად აფინანსებდა საინფორმაციო საშუალებებს (Radio Free Europe, Voice of America), რათა საბჭოთა საზოგადოებისთვის მიეწოდებინა ალტერნატიული ინფორმაცია და დასავლური ღირებულებები (Goshko 1981). ეს ყველაფერი დასავლური ცხოვრების წესის დემონსტრაციასთან ერთად ქმნიდა ძლიერ იდეოლოგიურ ზეწოლას, რაც თანხვედრაში მოდიოდა აშშ-ის გლობალურ სტრატეგიასთან. შეერთებული შტატები უჭერდა მხარს ანტიკომუნისტურ მოძრაობებს მთელ მსოფლიოში – მათ შორის პოლონეთში არსებულ „სოლიდარობის“ მოძრაობასა და ავღანურ წინააღმდეგობრივ დაჯგუფებებს, რომლებიც საბჭოთა ოკუპაციას ეწინააღმდეგებოდნენ (მოჯაჰედები). 1987 წლის ცნობილ სიტყვაში ბერლინის კედელთან რეიგანმა გორბაჩოვს მოუწოდა: „დაანგრიეთ ეს კედელი!“ (Reagan 1987). რეიგანის იდეოლოგიური პოზიცია ნათლად აჩვენებდა, რომ მისთვის გამარჯვება ცივ ომში ნიშნავდა არა მხოლოდ სამხედრო უპირატესობას, არამედ კომუნიზმის იდეოლოგიურ კრახს. ამასთან ერთად, მისთვის იდეოლოგიურ ბრძოლას ჰქონდა დიდი მნიშვნელობა. რეიგანი თავის მემუარებში აღნიშნავდა, რომ ცივი ომის დასასრული იყო მმართველობის ერთი სისტემის, ერთი იდეოლოგიის გამარჯვება მეორეზე (Hudson and Davies 2008: 75).

რეიგანი ატარებდა გარკვეულ ღონისძიებებს ანტიკომუნისტური მოძრაობების მხარდაჭერისთვის. რეიგანის დოქტრინა გულისხმობდა პირდაპირ ან ირიბ მხარდაჭერას იმ ძალების მიმართ, რომლებიც საბჭოთა ბატონობის ქვეშ მყოფ რეგიონებში თავისუფლებასა და ეროვნულ დამოუკიდებლობას ითხოვდნენ. აშშ მხარს უჭერდა და ეხმარებოდა პოლონეთს,

ავღანეთში მოჯაჰედებს, ლათინური ამერიკისა და აფრიკის ქვეყნებს. ნიკარაგუაში 1981-1990 წლებში შეერთებული შტატები აწარმოებს სპეციალურ სამხედრო ოპერაციას. 1980-1990 წლებში ეხმარება მოჯაჰედებს საბჭოთა კავშირთან საბრძოლველად (კაჭარავა 2005: 175). რეიგანის ყველა ქმედება დაკავშირებული იყო საბჭოთა კავშირის გავლენის შესუსტებასა და მის ნგრევასთან.

1985 წლამდე ამერიკის შეერთებულ შტატებსა და საბჭოთა კავშირს შორის ურთიერთობები მეტად დაძაბული იყო და რთულად ვითარდებოდა. რეიგანის პოლიტიკაც მის მიმართ ხისტი და მტკიცე იყო. მოლაპარაკებების პროცესი ორ მხარეს შორის არ მიმდინარეობდა. ვითარება იცვლება, როდესაც საბჭოთა კავშირის ლიდერად მოვიდა მიხაილ გორბაჩოვი, რომლის რეფორმები, მიდგომები და ინტერესები დაემთხვა რონალდ რეიგანის ინტერესებს. გამომდინარე აქედან, ნიადაგი მომზადდა ორ სახელმწიფოს შორის ურთიერთობების ახალი ეტაპისთვის. გაიმართა უმნიშვნელოვანესი სამიტები, რომლებიც ემსახურებოდა შეიარაღების შემცირებასა და სამომავლოდ ბირთვული დაპირისპირების თავიდან არიდებას. მნიშვნელოვანი იყო ის ფაქტი, რომ ორმა მხარემ შეძლო მოლაპარაკებების მაგიდასთან დაჯდომა და საერთო ინტერესებზე საუბრის დაწყება – რამაც წარსულში არაერთხელ მარცხი განიცადა. ამიტომ, შეიძლება ითქვას, რომ აღნიშნული სამიტები ორ სახელმწიფოს შორის ბირთვული საფრთხეების თავიდან არიდების კუთხით ნამდვილად მნიშვნელოვანი იყო. ბუნებრივია, ჩვენ ვერ ვისაუბრებთ ვრცლად სამიტების მოსამზადებელ ეტაპზე, სამიტების მიმდინარეობაზე, მიზნებსა და შემდეგებზე, თუმცა ამ საკითხის დასმა აუცილებელი იყო, რადგან რონალდ რეიგანმა საბჭოთა კავშირთან მიმართებით მიაგნო და გამოიყენა მნიშვნელოვანი საგარეო პოლიტიკური ინსტრუმენტი. რეიგანმა სამხედრო დაპირისპირების, ხისტი ძალის გამოყენების ნაცვლად აირჩია რბილი ძალა. ორ სახელმწიფოს შორის გამართული სამიტები იყო არა მხოლოდ მაღალი პოლიტიკური შეხვედრა, არამედ სახალხო დიპლომატიის გამოვლინებაც. სახალხო დიპლომატია აქცია საგარეო პოლიტიკის მნიშვნელოვან იარაღად, რამაც მნიშვნელოვანი როლი შეასრულა რეიგანის საგარეო პოლიტიკის წარმატებაში. სახალხო დიპლომატიის ერთ-ერთი გამოჩენილი მკვლევარი ჯოზეფ ნაი[3] ცდილობდა გაეგო თუ რა იყო მიზეზი შეერთებული შტატების წარმატების საერთაშორისო ასპარეზზე. იგი თვლიდა, რომ ეს იყო რბილი ძალა (Nye 1990: 32). რონალდ რეიგანმა სახალხო დიპლომატია საგარეო პოლიტიკის მნიშვნელოვან იარაღად აქცია. მისი აქტიური გამოყენება მაშინ გახდა საჭირო, როდესაც საბჭოთა კავშირი აქტიურად ავრცელებდა პროპაგანდას, რომლის წარმოებისათვის 1980-იან

[3] ჯიმი კარტერის ადმინისტრაციაში ხელმძღვანელობდა ბირთვული განიარაღების ჯგუფს, ასევე აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის სტრუქტურებს, ხოლო ბილ კლინტონის ადმინისტრაციაში იყო ეროვნული სადაზვერვო საბჭოს ხელმძღვანელი და თავდაცვის მდივნის თანაშემწე საერთაშორისო უსაფრთხოების საკითხებში.

წლებში 2.2 მილიარდ დოლარზე მეტი დახარჯეს (Cull 2009: 400). აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ საბჭოთა კავშირი მიმართავდა დეზინფორმაციის გავრცელებასა და სხვადასხვა მნიშვნელოვანი ცნობის გაყალბებასაც (Waller 2008: 162). გამომდინარე აქედან, რონალდ რეიგანის მიერ რბილი ძალისა და მისი ელემენტების გამოყენება გამართლებული იყო საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ, რადგან იგი პირდაპირ მოქმედებდა დეზინფორმაციისა და ყალბი ფაქტების წინააღმდეგ. 1980-იან წლებში აშშ-მა დიდი ყურადღება დაუთმო საბჭოთა კავშირს და მისი გავლენის არეალში ინფორმაციის გავრცელებას. „ამერიკის ხმა“ მნიშვნელოვან როლს ასრულებდა ამ მიმართულებით. მილიონობით საბჭოთა მოქალაქე ეცნობოდა დასავლურ კულტურას, აზროვნებას. ამ ყველაფერმა გავლენა იქონია მოსახლეობაზე და დაიწყო უნდობლობის გამოვლინება სისტემის შიგნით. რონალდ რეიგანმა გორბაჩოვთან დიალოგით საერთაშორისო ურთიერთობების სფერო მნიშვნელოვნად შეცვალა. ამასთან ერთად, მან დიდი როლი ითამაშა ცივი ომის დასრულებაში. უნდა ითქვას, რომ ამერიკის შეერთებული შტატების საგარეო პოლიტიკის შემადგენელი ნაწილი ყოველთვის იყო რბილი ძალა და მისი ელემენტები (Fraser 2003: 9). სახალხო დიპომატიამ, რომელიც გონიერი ძალის მნიშვნელოვანი იარაღი (Cowan and Cull 2008: 300) და რბილი ძალის ნაწილია, მნიშვნელოვანი როლი ითამაშა 1980-იან წლებში აშშ-ის წარმატებაში.

„ბოროტების იმპერიის“ დაშლაზე საუბრისას მნიშვნელოვანი და ყურადსაღებია იმ ფაქტორების გათვალისწინება, რაც შეიქმნა სსრკ-ს შიგნით. უნდა აღვნიშნოთ, რომ სსრკ-ის ეკონომიკა ვერ პასუხობდა თანამედროვე გამოწვევებს. რესურსების ხარჯვა არ მიმდინარეობდა სწორად, 1980-იანი წლების ბოლოს ნავთობზე დამოკიდებული სსრკ-ის ბიუჯეტი მძიმე მდგომარეობაში ჩავარდა, რაშიც დიდი წვლილი რონალდ რეიგანს მიუძღვის. უაღრესად მწვავედ იდგა ეკონომიკური რეფორმის საკითხი (მაცაბერიძე 2023: 428), რასთან დაკავშირებითაც აზრთა სხვადასხვაობა იყო. მალე დაიწყო ნაციონალიზმის ზრდა რესპუბლიკებში, რომელთა უმეტესობამ დაიწყო დამოუკიდებლობის მოთხოვნა, რაც კიდევ უფრო მეტად აჩქარებდა სისტემის დაშლას. გორბაჩოვის რეფორმებმა ვერ გამოიღო შედეგი. დაიწყო საპროტესტო ტალღა, საზოგადოებრივი უკმაყოფილება, ახალგაზრდებში გაიზარდა მოთხოვნა ცვლილებებზე. პუტჩმა კიდევ უფრო მეტად დააჩქარა საბჭოთა კავშირის დაშლა. მისი მარცხისთანავე დამოუკიდებლობა გამოაცხადა უკრაინამ, რამდენიმე დღის შემდეგ – ბელორუსიამ, მოლდოვამ, აზერბაიჯანმა (მაცაბერიძე 2023: 434). საქართველო მეორე ქვეყანა იყო, რომელმაც დამოუკიდებლობა გამოაცხადა. საბჭოთა კავშირი, ფაქტობრივად, დაიშალა. 1991 წლის 25 დეკემბერს გორბაჩოვმა განაცხადა, რომ ნებაყოფლობით იხსნიდა საბჭოთა კავშირის პრეზიდენტის უფლებამოსილებას (მაცაბერიძე 2023: 435).

ამრიგად, რეიგანის წვლილის ობიექტური შეფასების გამყარებისთვის გვერდს ვერ ავუვლიდით საბჭოთა კავშირის შიდა დინამიკისა და გორბაჩოვის რეფორმების გათვალისწინებას. ბუნებრივია, რომ ამ პროცესებმა თავისი როლი ითამაშა იმპერიის რღვევის პროცესებში, თუმცა რეიგანის როლის უგულებელყოფა და მისი მიჩქმალვა გამართლებულად არ მიგვაჩნია. მისმა გადადგმულმა ნაბიჯებმა დააჩქარა იმპერიის ნგრევა და შეიქმნა გარდაუვალი პროცესი – „ბოროტების იმპერიის“ დაშლა. საბოლოოდ, რონალდ რეიგანი ისტორიაში დარჩა, როგორც ლიდერი, რომელიც სათავეში ჩაუდგა ცივ ომში დასავლეთის გადამწყვეტ სვლას და მოიპოვა ისეთი გამარჯვება, რომელსაც მიაღწია არა ტანკებითა და ხისტი ძალით, არამედ ღირებულებებით, ეკონომიკური ზეწოლით, პოლიტიკური გონიერებითა და დიალოგით.

აშშ-მა რეიგანის ადმინისტრაციის პირობებში შეძლო მნიშვნელოვანი უპირატესობის მოპოვება მრავალი მიმართულებით. საბჭოთა კავშირში კარგად ხვდებოდნენ და იცოდნენ შექმნილი უპირატესობის შესახებ, რომელიც აშშ-მა რეიგანის ადმინისტრაციის დროს მოიპოვა. არსებული ვითარება საბჭოთა ლიდერებისთვის ქმნიდა დაუძლეველი კონკურენციისა და მუდმივი საფრთხის განცდას. ბუნებრივია, რომ საბჭოთა კავშირი მისთვის არასასურველ პოზიციაში აღმოჩნდა.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, რონალდ რეიგანის როლთან დაკავშირებით საბჭოთა იმპერიის რღვევის პროცესში სხვადასხვა მოსაზრება არის გამოთქმული. საინტერესოა, რომ გავეცნოთ სხვადასხვა ცნობილი ისტორიკოსისა და პოლიტოლოგის პოზიციებს რეიგანის როლთან დაკავშირებით საბჭოთა კავშირის დაშლის საქმეში.

საბჭოთა კავშირში აშშ-ის ელჩი (1987-1991 წლებში) ჯეკ მეტლოკი თვლიდა, რომ რეიგანის როლი გადაჭარბებული იყო. გადამწყვეტ ფაქტორებად მიაჩნდა შიდა რეფორმები და საბჭოთა სისტემური კრიზისი (Matlock 2004: 240-260). ბრიტანელი ისტორიკოსის, ერიკ ჰობსბაუმის აზრით რეიგანის პოლიტიკა იმპერიის დაცემის მიზეზი არ ყოფილა, ის უფრო ეკონომიკურმა სტაგნაციამ და შიდა კრიზისებმა გამოიწვია (Hobsbawm 1994: 561-570). ამერიკელი ისტორიკოსი და პოლიტიკის თეორეტიკოსი ნოამ ჩომსკი კი თვლიდა, რომ დაშლის მიზეზები მოსაძებნი იყო შიდა და სოციალურ ძალებში (Chomsky 2003: 100-130). განსხვავებულ აზრზე დგანან მარგარეტ ტეტჩერი, ამერიკელი პოლიტოლოგები ჯონ ლუის გედისი და პოლ კენგორი.

ჯონ ლუის გედისი, რომელიც დასავლეთში ცნობილია როგორც „ცივი ომის ისტორიკოსთა დეკანი“, ძალიან დიდ მნიშვნელობას ანიჭებს რონალდ რეიგანის როლს საბჭოთა კავშირის დაშლაში, განსაკუთრებით იდეოლოგიური, სტრატეგიული და მორალური ლიდერობის თვალსაზრისით (Gaddis 1997: 89-95). გედისი მიიჩნევდა, რომ რეიგანის პოლიტიკა იყო მიზანმიმართული, მისი სტრატეგია მიზნად ისახავდა სისტემის შიგნიდან გა-

რდაქმნასა და მისი მორალური ლეგიტიმაციის შერყევას. მისთვის რეიგანი მხოლოდ საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ განწყობილი პრეზიდენტი არ იყო, არამედ იგი მიაჩნდა სტრატეგიულ მოთამაშედ. გედისი არა მხოლოდ აღიარებს რეიგანის თავდაცვითი ხარჯების ზრდის გავლენას, არამედ ხაზს უსვამს იმასაც, რომ რეიგანი გორბაჩოვის მოსვლის შემდეგ მკვეთრად გადაიხარა თანამშრომლობისკენ. რეიგანის როლს საბჭოთა კავშირის დაშლაში გვერდს არ უვლის პოლ კენგორი. იგი იზიარებს მოსაზრებას, რომ რეიგანს გადამწყვეტი როლი ჰქონდა კომუნიზმის დამარცხებაში, გარდა ამისა, აქცენტს აკეთებს რეიგანის რწმენაზე, იდეოლოგიაზე. კენგორი მიიჩნევს, რომ რეიგანის ადმინისტრაციის სამხედრო ზეწოლამ, ეკონომიკურმა სანქციებმა, იდეოლოგიურმა წნეხმა მნიშვნელოვანი როლი ითამაშა საბჭოთა კავშირის დაშლის პროცესში (Kengor 2006: 200-250). ასევე მნიშვნელოვანია ვახსენოთ მსოფლიოში ცნობილი ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი და ცნობილი ბრიტანელი პოლიტიკოსი მარგარეტ თეტჩერი, რომელიც რეიგანის საგარეო პოლიტიკას ამართლებდა და სწორად მიაჩნდა (Thatcher 1995). მისი აზრით, რეიგანის მმართველობა იყო ის პერიოდი, როდესაც დასავლეთმა დაიწყო გაცილებით მტკიცედ და ეფექტიანად მუშაობა საბჭოთა კავშირის შეზღუდვისთვის და ბოლოს მისი დასასრულისთვის.

ამგვარად, რეიგანის როლის შეფასება არ არის ერთმნიშნელოვანი და დებატების საგნად არის მიჩნეული აკადემიურ წრეებში. პირველი პოზიციის მიხედვით რეიგანი იყო მნიშვნელოვანი ლიდერი, რომელმაც დიდი როლი შეასრულა საბჭოთა კავშირის დაშლასა და ცივი ომის დასრულებაში, აგრეთვე, რეიგანი მიზანმიმართულად ქმნიდა და სტრატეგიულად ხელმძღვანელობდა პოლიტიკას, რომელიც ქმნიდა ეკონომიკურ წნეხს, იდეოლოგიურ შეტევას, დიპლომატიურ ზეწოლას. რეიგანი, ამ თვალსაზრისით, იქცა გლობალური გარდატეხის არქიტექტორად, რომელმაც გამოიყენა ყველა შესაძლო ბერკეტი იმისთვის, რომ დაეშალა სისტემა, რომელიც, მისი აზრით, შიდა სისუსტეებზე იყო აგებული. მეორე მიდგომის მიხედვით, საბჭოთა კავშირის დაშლა იყო უპირველესად შიდა ფაქტორების შედეგი, როგორიცაა: ეკონომიკური სტაგნაცია და რეფორმების შეუძლებლობა, გორბაჩოვის რეფორმატორული პოლიტიკა, აღმოსავლეთ ევროპის მოძრაობები. ასევე შესაძლებელია, რომ ამ პროცესების გამომწვევი მიზეზების სინთეზური შეფასებაც განვიხილოთ. მეტად გამართლებული იქნება მოსაზრება თუ ვიტყვით, რომ, შეიძლება რეიგანის სტრატეგია არ იყო ერთადერთი მიზეზი, თუმცა მან მნიშვნელოვნად დააჩქარა და გაამწვავა ის კრიზისები, რომლებიც საბჭოთა კავშირში არსებობდა. მნიშნელოვანი მომენტია გორბაჩოვისა და რეიგანის ურთიერთობა, როდესაც ორმა მხარემ მოახერხა დაპირისპირება გადასულიყო კონსტრუქციულ დიალოგში. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ რეიგანის როლი არის ძალიან მნიშვნელოვანი ამ მოლაპარაკებების გამართვაში. იგი იყო ამ მოლაპარაკებების არქიტექტორი და წამყვანი ძალა, რომელმაც მიზანმიმართულად წაიყვანა პროცესები დია-

ლოგისკენ, რაც აშკარაა სამიტების ინიცირებასა და შინაარსობრივ ფორმირებაში.

რეიგანი იყო პრეზიდენტი, რომელმაც გააერთიანა ღირებულებებზე დაფუძნებული პოზიცია პრაგმატულ და კარგად გათლილ პოლიტიკურ ქმედებებთან. სტრატეგიული თავდაცვითი ინიციატივა, ენერგეტიკული ბერკეტების გამოყენება, ანტიკომუნისტური მოძრაობების მხარდაჭერა და გორბაჩოვთან დაწყებული დიალოგი წარმოადგენს იმ სტრატეგას, რომელიც მიზნად ისახავდა არა მოწინააღმდეგის შეკავებას მცირე ხნით, არამედ მის სისტემურ რღვევას. რეიგანმა გააძლიერა საბჭოთა ეკონომიკის იზოლაცია: შეაფერხა დასავლური ტექნოლოგიების გადაცემა საბჭოთა კავშირისთვის, მხარს უჭერდა ნავთობის ფასების დაცემას, რაც სსრკ-ს შემოსავლის წყაროს ართმევდა. გაიზარდა აშშ-ის თავდაცვის ბიუჯეტი, რაც საბჭოთა კავშირს აიძულებდა არათანაბარი შეიარაღების რბოლაში ჩართვას. რეიგანის დოქტრინის ფარგლებში: მოამარაგა და წვრთნიდა მუჯაჰედებს ავღანეთში, რომლებიც საბჭოთა ოკუპაციის წინააღმდეგ იბრძოდნენ, მხარი დაუჭირა ანტისაბჭოთა ძალებს აღმოსავლეთ ევროპაში, ცენტრალურ ამერიკაში. ამ ფაქტორების გათვალისწინებით საბჭოთა კავშირი იძულებული გახდა თავისი სამხედრო და ფინანსური რესურსები გაეჭიმა. რონალდ რეიგანმა ასევე გამოიყენა საგარეო პოლიტიკის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ინსტრუმენტი, სახალხო დიპლომატია, რომელიც აშშ-ის წარმატების მნიშვნელოვანი ფაქტორი იყო ცივი ომის დასკვნით ეტაპზე. რეიგანი ცდილობდა, რომ საბჭოთა კავშირის გავლენა შეეზღუდა, მეტი ადამიანის აზროვნებაში შეეტანა დემოკრატიული ღირებულებების, სიტყვის თავისუფლებისა და ადამიანის უფლებების მნიშვნელობა. „ამერიკის ხმა“ მნიშვნელოვან როლს ასრულებდა ამ მიმართულებით. საბჭოთა კავშირში მრავალმა ახალგაზრდამ დაიწყო განსხვავებულად აზროვნება და წავიდნენ იმის წინააღმდეგ, რაც მათ ქვეყანაში ხდებოდა. შეგვიძლია თამამად ვთქვათ, რომ სახალხო დიპლომატიამ ამერიკის შეერთებული შტატების საგარეო პოლიტიკაში მნიშვნელოვანი როლი ითამაშა და მის წარმატებაში განსაკუთრებული ფაქტორი იყო.

იმისთვის, რომ რეიგანის როლი ნათლად წარმოვაჩინოთ საბჭოთა კავშირის რღვევის პროცესების დაჩქარებასა და მის საბოლოოდ ჩამოშლაში შეგვიძლია მოვიშველიოთ გენრიხ ტროფიმენკო[4]. ტროფიმენკო ამტკიცებს, რომ „სწორედ რეიგანმა მოიგო ცივი ომი და დაასრულა იგი. სწორედ ამიტომ, სისტემის დანგრევა დასავლეთისთვის – კერძოდ, პრეზიდენტ რონალდ რეიგანისთვის – აშკარა და უდავო გამარჯვებაა, რომელმაც მოსკოვისთვის პოტენციური გამარჯვების ფასი იმდენად გაზარდა, რომ დაძაბუ-

[4] საბჭოთა საერთაშორისო ურთიერთობების ექსპერტი. ცივი ომის დროს ის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ანალიტიკოსი იყო, რომელიც წერდა და საუბრობდა სსრკ-სა და აშშ-ს შორის ურთიერთობებზე, ასევე რეიგანის პოლიტიკაზე.

ლობისგან დაიშალა“ (Kengor 2006: 301). რა თქმა უნდა, ეს რეიგანის განზრახვა იყო. ტროფიმენკოს თქმით, SDI[5] „იყო ყველაზე ეფექტური ერთჯერადი ქმედება გორბაჩოვის გონს მოსაყვანად – იმის გასაგებად, რომ მას არ შეეძლო გამარჯვება...“ (Kengor 2006: 301). ასევე შეგვიძლია გავეცნოთ ედვარდ ტელერის[6] მოსაზრებას, რომელიც ამბობდა: „მაშინ და ახლაც მჯეროდა, რომ რეიგანმა დიდი წვლილი შეიტანა რუსეთში კომუნიზმის შეჩერებაში“ (Kengor 2006: 302). საბჭოთა კავშირი ვერ შეედრებოდა აშშ-ის რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის ძალისხმევას, SDI-ისკენ სწრაფვამ საბჭოთა კავშირის დაშლას მისცა ხელი. „რეიგანის გარეშე“, – ამტკიცებდა ტელერი 2003 წლის ივლისში, – „ახლა კომუნიზმი იქნებოდა“ (Kengor 2006: 302). მარგარეტ თეტჩერმა ეს განცდა გაიმეორა, როდესაც განაცხადა, რომ SDI რეიგანის პრეზიდენტობის დროს ყველაზე მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება აღმოჩნდა. ცივი ომის გამოჩენილი ისტორიკოსი ჯონ ლუის გედისი აქებს როგორც SDI-ს, ასევე INF-ების გავლენას საბჭოთა კავშირის ქცევასა და საბოლოოდ ცივი ომის განმუხტვაზე (Kengor 2006: 302). ცივი ომის ლიბერალი მკვლევარიც კი, რეიმონდ გარტჰოფი, უხალისოდ აღიარებს, რომ რეიგანის სამხედრო გაძლიერებამ და SDI-სკენ სწრაფვამ სამხედრო გამოწვევა შექმნა, რომლის დაძლევაც საბჭოთა კავშირს ეკონომიკურად და ტექნოლოგიურად უჭირდა. ის აღიარებს, რომ გორბაჩოვი აცნობიერებდა: საბჭოთა კავშირი ვერ შეძლებდა შეერთებული შტატების წინააღმდეგობის გაწევას ან მასზე გადასწრებას (Kengor 2006: 302). NBC-ის ჟურნალისტმა ტიმ რუსერტმა[7] თქვა, რომ რეიგანის მემკვიდრეობა ცივი ომის მოგება იყო. მიზეზებს შორის მან აღნიშნა, რომ რეიგანმა საბჭოთა კავშირი აიძულა ჩართულიყო შეიარაღების ისეთ მასშტაბურ ზრდაში, რომლის კონკურენციაც მიხაილ გორბაჩოვისთვის შეუძლებელი იყო (Kengor 2006: 308). რუმინულ გაზეთ „ბუქარესტის ზიუაში“ დენ პაველმა[8] დაწერა სტატია, რომელშიც რეიგანს „პოლიტიკურ ლიდერს“ უწოდებდა, რომელმაც ყველაზე დიდი წვლილი შეიტანა ტოტალიტარული კომუნისტური სისტემის დაცემაში (Kengor 2006: 308). პაველმა დასძინა „ზედაპირულმა ანალიზმა საბჭოთა ლიდერ გორბაჩოვს გაზვიადებული დამსახურება მიანიჭა, თუმცა საბჭოთა კავშირს სინამდვილეში სისტემის რეფორმირება სურდა და არა მისი დამხობა. ისინი „გლასტნოსტისა“ და „პერესტროიკის“ მიღწევამდე ვერ მივიდოდნენ, რომ არა ამერიკელების ზეწოლა, რომელმაც დააძალა ეღიარებინათ, რომ ისინი სამხედრო, ეკონომიკურ, პოლიტიკურ და კულტურულ კონკურენციაში მოძველებულები და დამარცხებულები იყვნენ (Kengor 2006: 308). პოლონეთიდან

---

5 Strategic Defence Initiative – სტრატეგიული თავდაცვითი ინიციატივა.

6 ერთ-ერთი თვალსაჩინო მეცნიერი, ვინც მხარს უჭერდა სტრატეგიულ თავდაცვით ინიციატივას. ცნობილი ბირთვული ფიზიკოსი და წყალბადის ბომბის ერთ-ერთი შემქმნელი.

7 ცნობილი ამერიკელი ჟურნალისტი და ტელეპროგრამის წამყვანი.

8 რუმინელი მწერალი, ჟურნალისტი, ფილოსოფოსი და პოლიტოლოგი.

ლეხ ვალენსამ[9] თავისი გმირი გაიხსენა: „ჩვენი საქმე იყო ამ სულელური და მკვლელი კომუნისტური სისტემის დამხობა“. პოლონეთის ყოფილმა პრეზიდენტმა პოლონეთის საინფორმაციო სააგენტოს განუცხადა, რომ რეიგანი იმ მცირერიცხოვან მსოფლიო ლიდერთაგან იყო, ვინც სწორედ ამაში შეიტანა წვლილი. თავად საინფორმაციო სააგენტომ აღნიშნა აშკარა რამ: „რეიგანის წვლილმა კომუნიზმის დამხობაში ის პოლონეთში უაღრესად პოპულარული გახადა“ (Kengor 2006: 308).

გამოყენებული ლიტერატურის ნუსხა:

- **კაჭარავა 2005:** კაჭარავა ვასილ. რონალდ რეიგანი და 1980-იანი წლების ამერიკა. თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 2005;
- **მაცაბერიძე 2023:** მაცაბერიძე მალხაზ. საბჭოთა კავშირი კომუნისტური ტოტალიტარიზმის აღზევება და დაცემა. გამომცემლობა „უნივერსალი“, თბილისი, 2023;
- **Chomsky 2003:** Chomky N.. Hegemony or survival: America's quest for global dominance. Metropolitian Books, 2003;
- **Cull 2009:** Cull Nicholas j. The Cold War and the United States Information Agency: American Propaganda and Public Diplomacy, 1945-1989. Cambridge University Press, New York, 2009;
- **Cowan and Cull 2008:** Cowan Geffrey and Nicholas J. Cull. Public Diplomacy in a Changing World: The Annals of the American Academy of Political and Social Science, CA: SAGE Publications, 2008;
- **Davis 1982:** Davis A. Donald. UPI (United Press International), Reagan sanctions aimed at crippling Soviet pipeline, June 19, 1982. ხელმისაწვდომია: https://www.upi.com/Archives/1982/06/19/Reagan-sanctions-aimed-at-crippling-Soviet-pipeline/2030393307200 ბოლოს დამოწმებულია 20.02.2026;
- **Fraser 2003:** Fraser Mattew. Weapons of Mass Distraction: Soft Power and American Empire, Thomas Dunne Books, New York, 2003;
- **Gaddis 1997:** Gaddis John Lewis. The Cold War and After: History, Theory, and the Logic of International Politics. Oxford University Press, New York, 1997;
- **Goshko 1981:** Goshko John M.. The Washington Post, Stepped-Up Radio Propaganda Campaign Planned Against Soviet. March 12, 1981. ხელმისაწვდომია: https://www.washingtonpost.com/archive/politics/1981/03/12/stepped-up-radio-propaganda-campaign-planned-against-soviets/5287bde0-cc42-493f-bb2d-687770a52111/ ბოლოს დამოწმებულია 20.02.2026;
- **Hobsbawm 1994:** Hobsbawm Eric. Age of Extremes: The Short Twentieth Century, 1914-1991, Michael Joseph, 1994;
- **Hudson and Davies 2008:** Hudson Cheryl and Davies Gareth. Ronald Reagan and the 1980s, Perceptions, Policies, Legacies, palgrave, macmillan, 2008;
- **Kengor 2006:** Kengor Paul. The Crusader: Ronald Reagan and the Fall of Comunism. St. Martin's Press, 2006;

[9] პოლონეთის პირველი ლეგალურად არჩეული პრეზიდენტი კომუნისტური წლების დასრულების შემდეგ.

- **Matlock 2004:** Matlock Jack F. Reagan and Gorbachev: How the Cold War Ended. Random House, 2004;
- **Nye 1990:** Nye Joseph S. Jr.. Bound to lead: The Changing Nature of America Power, Basic Books, New York, 1990;
- **Reagan 1982:** Reagan Ronald. Presidential Library & Museum, Statement on the Extension of United States Sanctions on the Export of Oil and Gas Equipment to the Soviet Union, June 18, 1982. ხელმისაწვდომია: https://www.reaganlibrary.gov/archives/speech/statement-extension-united-states-sanctions-export-oil-and-gas-equipment-soviet ბოლოს დამოწმებულია 20.02.2026;
- **Reagan 1983:** Reagan Ronald. Remarks at the Annual Convention of the National Association of Evangelicals, Orlando, Florida, 1983. ხელმისაწვდომია: https://www.americanrhetoric.com/speeches/ronaldreaganevilempire ბოლოს დამოწმებულია 20.02.2026;
- **Reagan 1987:** Office of the Historian, Foreign Relations of the United States, 1981-1988, Volume I, Foundations of Foreign Policy, Remarks By ***President Reagan***, West Berlin, 1987. ხელმისაწვდომია: https://history.state.gov/historicaldocuments/frus1981-88v01/d303 ბოლოს დამოწმებულია 20.02.2026;
- **Thatcher 1995:** Thatcher Margaret. Interview By Brian Lamb, Booknotes, C-SPAN, April 16, 1995. ხელმისაწვდომია: https://booknotes.c-span.org/Watch/52741-1 ბოლოს დამოწმებულია 20.02.2026;
- **Waller 2008:** Waller Michael J.. Strategic Influence: Public Diplomacy, Counterpropaganda, and Political Warfare. The Institute of World Press, Washington, 2008.

Beka (Besarion) Chkhirodze

MA in History, TSU

Besarion.chkhirodze105@hum.tsu.edu.ge

THE END OF THE "EVIL EMPIRE": RONALD REAGAN'S STRATEGIC ROLE IN THE COLLAPSE OF SOVIET UNION

(SUMMARY)

This article provides an in-depth analysis of Ronald Reagan's strategic role in the dissolution of the Soviet Union, situating his presidency within the broader context of the Cold War's final decade. It examines Reagan's multi - faceted approach that combined a significant military buildup – particularly through initiatives such as the Strategic Defense Initiative (SDI) – with aggressive economic pressure, and bold diplomatic efforts aimed at confronting and ultimately undermining the Soviet regime, which Reagan famously labeled the "Evil Empire".

The study draws on a diverse range of primarily and secondary sources, including the perspectives of historians, political scientists, and contemporary analysts. By engaging with both supportive and critical interpretations of Reagan's policies, the article offers a balanced and comprehensive understanding of his impact.

The study also explores the complex internal dynamics of the USSR during this period, highlighting the severe economic stagnation, systemic inefficiencies, and the political reforms initiated by Mikhail Gorbachev. By synthesizing these external and internal factors, the article demonstrates how Reagan's policies intensified the pressures on the Soviet system, accelerating its decline. Furthermore, it analyzes the diplomatic engagements between Reagan and Gorbachev, emphasizing how these interactions helped ease tensions and paved the way for the peaceful end of the Cold War.

This article contributes to existing scholarship by emphasizing Reagan's underestimated strategic role in accelerating the Soviet Union's collapse, challenging narratives that attribute the dissolution primary to internal Soviet factors or Gorbachev's reforms alone. By integrating both external pressures and internal dynamics, the study offers a nuanced perspective that enriches our understanding of the Cold War's final chapter.

Moreover, this study highlights the broader implications of Reagan's policies on international relations and the global balance of power during the late 20th century, By demonstrating how strategic leadership and diplomatic engagement can influence the course of history, the article provides valuable insights for both scholars and policymakers interested in understanding the complexities of geopolitical transformations.

Drawing on a wide range of scholarly sources, historical records, and expert analyses, this article examines the strategic, political, and economic factors that collectively led to one of the most significant geopolitical shifts of the 20th century – the collapse of the Soviet Union.